გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტზე

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საჯარო მოხელეთა დასანიშნად კონკურსის ეტაპის გავლის ვალდებულებას და კონკურსის წესით დანიშნულ მოხელეთა ატესტირებას. ატესტაციისას მოხელეთა და კონკურსის ჩატარებისას კანდიდატთა შეფასება უნდა მოხდეს ამ დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტის მიზანია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დაწესებულების ხელმძღვანელმა სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით შემოიღოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რადგან ვაკანტურ თანამდებობებზე მოხდეს კვალიფიციული კადრების დანიშვნა კანონით დადგენილი წესით.

პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”.

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტში.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ"- დადგენილების თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი".

ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება და ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლი, რომლის თანახმადაც დაწესებულების ხელმძღვანელმა სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით შეიძლება შემოიღოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე